მესტიის მუნიციპალიტეტში სოფ. მულახის ილიკო გაბლიანის სახ. სპორტსკოლის (სათემო ცენტრის) რეკონსტრუქცია

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი **(RMIDP II)**

თბილისი, საქართველო

მარტი, 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას ილია გაბლიანის სპორტსკოლისთვის, რომელიც მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის მაღალმთლიან სოფელ მულახში. პროექტი ხელს შეუწყობს სათანადო საწვრთნელი სამუშაოებისა და სპორტული შეჯიბრების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორიცაა ჭიდაობა, ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, ბოქსი, და ა.შ.

სპორტკომპლექსის მშენებლობა ასევე ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ამჟამად სპორტსკოლა ფუნქციონირებს ძველ ფერმის ერთსართულიან შენობაში, რომელიც 1980 წელს გადაკეთდა სპორტსკოლად. არსებული შენობა დაზიანებულია და არ არის აღჭურვილი სათანადო სპორტული ინვენტარით. ქვე-პროექტი მოიცავს ძველი შენობის რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას.

ამჟამად ასი მოწაფე გადის წვრთნას ჭიდაობაში, კლდეზე ცოცვაში და ბოქსში. რეაბილიტაციის შემდეგ სპორტსკოლა სავარაუდოდ გამოყენებული იქნება სხავადასხვა დონის ჩეპიონატების, სპორტული ღონისძიებების, გუნდური წვრთნების და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშებისათვის და ასევე სხვადასხვა სპორტის სახეობებისათვის განსხვავებული ასაკის (ახალგაზრდების, ხანდაზმულების), სქესის და კვალიფიკაციის ადამიანებისათვის. ქვე-პროექტი ითვალისწინებს ცოცვისათვის კედლის, აუზის და ტენისის კორტის მოწყობას, ასევე იგეგმება საერთო საცხოვრებლის მოწყობაც.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს.

ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- არსებული თუნუქის სახურავის მოხსნა (502 მ^2), ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი (20 მ^2), ძველი, ყორე-ქვის კედლების დემონტაჟი (100 მ^2), სართულშუა გადახურვის და ხის იატაკის დემონტაჟი.
- სამშენებლო სამუშაოები მოიცავს რკინაბეტონის კონსტრუქციებს, იატაკებს, შეღებვას და ჭერს.
- ახალი ელექტროკაბელის შეყვანა კვეთით 5X25 მმ2, მოთხოვნილი სიმძლავრის (351 კვტ) უზრუნველსაყოფად, ასევე გათვალისწინებულია სარეზერვო დიზელ-გენერატორი ავტომატური მართვის ბლოკით- 200 კვა;
- სარეაბილიტაციო შენობიდან 442მ მეტრი დაშორებით მდებარე წყაროს კაპტაჟის მოწყობას, სადაც მოხდება წყლის დაჭერა-მოგროვება, მისი ფიზიკური გაწმენდა და d=50მმ პოლიეთილენის მილით შენობამდე მიყვანა. ობიექტს მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში ჭირდება 13,8 მ^3 წყალი 24 საათის განმავლობაში. ბეტონის რეზერვუარი (3მx3მ x3მ) საქლორატოროთი დამონტაჟდება სათემო ცენტრიდან 50მ სიმაღლის ნიშნულზე;

- შიდა კანალიზაციისა და საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის სეპტიკის მოწყობა საკანალიზაციო წყლების მექანიკური გაწმენდისათვის;
- კომბინირებული (ჰელიო, ელექტროდენი) გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების სისტემის მონტაჟი.

ქვე-პროექტის მთლიანი ფართობი შეადგენს 6734მ^2. რეაბილიტირებული შენობების ფართი მიწაზე შეადგენს 1200მ^2 (არსებული 658,5მ^2 შენობისაგან განსხვავებით). რეაბილიტირებული ცენტრის მთავარი ნაწილის სიმაღლე შეადგენს 10მ, მაქსიმუმი სიმაღლით 17,5მ. ძირითად ნაწილში იქნება სამი სართული - სარდაფი, პირველი სართული და მეორე სართული მანსარდაში. ამჟამად სპორტსკოლაში დასაქმებულია 7 მწვრთნელი და 3 დამხმარე პერსონალი. ძველი შენობის რეაბილიტაციის პერიოდში სპორტსკოლა განთავსდება ლერი ნაკანის სახელობის სპორტსკოლაში. აქედან გამომდინარე პერსონალი გააგრძელებს მუშაობას და არ შეეზღუდება საარსებო წყარო (იხ. თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინსიტრაციის წერილი #223, დათარიღებული 04.04.2014 და საკრებულოს წერილი #112 დათარიღებული 24.06.2014).

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება ზომიერად ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე. ძირითადი ზემოქმედება სახეზე იქნება სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, რომელიც მოიცავს ძველი არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, და წყალმომარაგების და კანალიზაციის გამწმენდი სისტემების მონტაჟს. ქვე-პროექტი მდებარეობს მოდიფიცირებული გარემოს მქონე ადგილას. აქედან გამომდინარე ზემოქმედება იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო (ხმაური, გამონაბოლქვები, სამშენებლო ნარჩენები, ტრანსპორტის მოძრაობის და მისასვლელი გზების დროებითი შეზღუდვა). ოპერირების პერიოდში, წარმოქმნილი მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარი წყლების განკარგვა სათანადოდ უნდა განხორციელდეს, რათა შეიზღუდოს ზეგავლენა გარემოზე. პროექტს საგრძნობი გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება ექნება სოციალურ გარემოზე.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტს აქვს დადებითი გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობისათვის პირობების გაუმჯობესებით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი

	უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. შემდგომი ზემოქმედება დაკავშირებულია ცენტრის მიერ გამომუშავებული ნარჩენებისა და ჩამდინარი წყლების წარმოქმნასთან. ამჟამად არსებულ შენობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. სოფელ მულახში არ არის მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემა. აქედან გამომდინარე, იგეგმება წყაროს წყლის კაპტაჟის მოწყობა შენობიდან 442 მ ნანძილზე წყლის აღების, გაწმენდის და მიწოდებისათვის. კაპტაჟის და რეზერვუარის მოწყობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქება შესაძლებელია ნიადაგის ზედა ფენისა და სადეზინფექციო ხსნარის სათანადოდ განკარგვით. მულახის თემში არ არის მუნიციპალური კანალიზაციის სისტემა. რეაბილიტირებულ სპორტსკოლაში წარმოქმნილი ჩამდინარი წყლების განკარგვა განხორციელდება სეპტიკური ავზის მონტაჟის მეშვეობით.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება, რადგანაც ადგილობრივი თემი უზრუნველყოფილი იქნება ახალი კარგად დაპროექტებული და კომფორტაბელური სპორტ სკოლის შენობით რომელიც რეაბილიტაციის შემდეგ სავარაუდოდ გამოყენებული იქნება სხავადასხვა დონის ჩემიონატების, სპორტული ღონისძიებების, გუნდური წვრთნების და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშებისათვის და ასევე სხვადასხვა სპორტის სახეობებისათვის განსხვავებული ასაკის (ახალგაზრდების, ხაბდაზმულების), სქესის და კვალიფიკაციის ადამიანებისათვის. შეზღუდული და დროებითი დადებითი ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დასაქმების შესაძლებლობასთან მშენებლობის პერიოდში.

	უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი აქტივი, რომლის მითითებული ფართობი არის 6734 მ2. (იხ. თანდართული ფაილი საკადასტრო ინფორმაცია). გათვალისწინებული არ არის რამე სახის მუდმივი ზემოქმედება მიმდებარე სასოფლო სამეურნეო მიწებზე და კერძო აქტივებსა და ბიზნესზე. მიწის ნაკვეთები, სადაც უნდა მოეწყოს კაპტაჟი და რეზერვუარი დარეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. ძველი შენობის რეაბილიტაციის პერიოდში სპორტსკოლა განთავსდება ლერი ნაკანის სახელობის სპორტსკოლაში. აქედან გამომდინარე პერსონალი გააგრძელებს მუშაობას და არ შეეზღუდება საარსებობო წყარო (იხ. თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინსიტრაციის წერილი #223, დათარიღებული 04.04.2014 და საკრებულოს წერილი #112 დათარიღებული 24.06.2014). ქვე პროექტის დროებითი ზემოქმედება დაკავშირებულია სპორტ სკოლის ადგილმონაცვლეობასთან სხვა შენობაში ქვე პროექტის განხორციელების პერიოდში. შესაბამისად მომზადდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP).

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	იმის გათვალისწინებით რომ ქვე პროექტი გულისხმობს არსებული ძველი სპორტ სკოლის შენობის რეაბილიტაციასა და გაფართოებას სხვა ალტერნატივები გნხილული არ ყოფილა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია . კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული

	მასალა და მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლის ხის მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით. ნიადაგის ზედა ფენა მოიხსნება სათანადოდ დასაწყობდება და შემდგომ გამოყენებული იქნება აღდგენისა და გამწვანებისათვის. ქლორის შემცველი ჩამდინარე წყლების ზემოქმედება ზედაპირულ და/ან მიწისქვეშა წყლებზე რომელიც შესაძლოა წამოიქმნას რეცხვისა და დეზინფექციის პროცესში ახლად დამონტაჟებული წყლის მილების ექსპლუატაციაში გაშვებამდე, შემცირებული და ნეიტრალიზებული უნდა იქნას გარემოში გაშვებამდე. სეპტიკური ავზის სათანადო ფუნქციონირება მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს სპორტ სკოლის ოპერირებისას რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის დაბინძურება.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ შენობის რეაბილიტაციასა და გაფართოებას არამედ საცოცავი კედლის, საცურაო აუზის, ტენისის კორტისა და სხვა საშუალებების მოწყობას.
ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?	ქვე-პროექტი მომზადებულია იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ, საკრებულოსთან კონსულტაციებით და წარმოადგენს არსებულ სიტუაციაზე რეაგირების საშუალებას. მულახის თემის მოსახლეობას კონსულტაციები ჩაუტარა მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ, მათი ინტერესები მხედველობაში იქნა მიღებული ქვე პროექტის მომზადებისას. კონსულტაციების შედეგად მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტ სკოლის რეაბილიტაცია და აღჭურვა პრიორიტეტად იქნა განსაზღვრული ადგილობრივი თემის მიერ. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ქვე-პროექტისათვის განხილული იქნა შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 6 მარტს.

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის	დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?	✓	
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძი, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლელული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი აქტივი, რომლის მითითებული ფართობი არის 6734 m^2.

მიწის ნაკვეთები სადაც უნდა მოეწყოს კაპტაჟი და რეზერვუარი დარეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება მითითებული ფართობი თითოეულისათვის შეადგენს 200 $მ^2$. ძველი შენობის რეაბილიტაციის პერიოდში სპორტსკოლა განთავსდება ლერი ნაკანის სახელობის სპორტსკოლაში. აქედან გამომდინარე პერსონალი გააგრძელებს მუშაობას და არ შეეზღუდება საარსებობო წყარო (იხ. თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინსიტრაციის წერილი #223, დათარიღებული 04.04.2014 და საკრებულოს წერილი #112 დათარიღებული 24.06.2014).

ქვე პროექტის დროებითი ზემოქმედება დაკავშირებულია სპორტ სკოლის ადგილმონაცვლეობასთან სხვა შენობაში ქვე პროექტის განხორციელების პერიოდში. შესაბამისად მომზადდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP).

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	სოფელ მულახის სათემო ცენტრის (მესტიის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე პროექტი ითვალისწინებს არსებული ერთ სართულიანი სპორტ სკოლის შენობის რეაბილიტაციასა და გაფართოებას. არსებული შენობა დაზიანებულია და არ არის აღჭურვილი სათანადო სპორტული ინვენტარით. ქვე-პროექტი მოიცავს ძველი შენობის რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას. ამჟამად ასი მოწაფე გადის წვრთნას ჭიდაობაში, კლდეზე ცოცვაში და ბოქსში. რეაბილიტაციის შემდეგ სპორტსკოლა სავარაუდოდ გამოყენებული იქნება სხავადასხვა დონის ჩემიონატების, სპორტული ღონისძიებების, გუნდური წვრთნების და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშებისათვის და ასევე სხვადასხვა სპორტის სახეობებისათვის განსხვავებული ასაკის (ახალგაზრდების, ხაბდაზმულების), სქესის და კვალიფიკაციის ადამიანებისათვის. ქვე-პროექტი ითვალსიწინებს ცოცვისათვის კედლის, აუზის და ტენისის კორტის მოწყობას, ასევე იგეგმება საერთო საცხოვრებლის მოწყობაც. ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: - არსებული თუნუქის სახურავის მოხსნა (502 მ^2), ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი (20 მ^2), ძველი, ყორე-ქვის კედლების დემონტაჟი (100 მ^2), სართულშუა გადახურვის და ხის იატაკის დემონტაჟი. - სამშენებლო სამუშაოები მოიცავს რკინაბეტონის კონსტრუქციებს, იატაკებს, შეღებვას და ჭერს. - ახალი ელექტროკაბელის შეყვანა კვეთით 5X25 მმ2, მოთხოვნილი სიმძლავრის (351 კვტ) უზრუნველსაყოფად, ასევე გათვალისწინებულია სარეზერვო დიზელ-გენერატორი ავტომატური მართვის ბლოკით- 200 კვა;

	- სარეაბილიტაციო შენობიდან 442მ მეტრი დაშორებით მდებარე წყაროს კაპტაჟის მოწყობას, სადაც მოხდება წყლის დაჭერა-მოგროვება, მისი ფიზიკური გაწმენდა და d=50მმ პოლიეთილენის მილით შენობამდე მიყვანა. ობიექტს მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში ჭირდება 13,8 მ^3 წყალი 24 საათის განმავლობაში. ბეტონის რეზერვუარი (3მx3მ x3მ) საქლორატოროთი დამონტაჟდება სათემო ცენტრიდან 50მ სიმაღლის ნიშნულზე; - შიდა კანალიზაციისა და საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის სეპტიკის მოწყობა საკანალიზაციო წყლების მექანიკური გაწმენდისათვის; - კომბინირებული (ჰელიო, ელექტროდენი) გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების სისტემის მონტაჟი. ქვე-პროექტის მთლიანი ფართობი შეადგენს 6734მ^2. რეაბილიტირებული შენობების ფართი მიწაზე შეადგენს 1200მ2 (არსებული 658,5მ2 შენობისაგან განსხვავებით). რეაბილიტირებული ცენტრის მთავარი ნაწილის სიმაღლე შეადგენს 10მ, მაქსიმუმი სიმაღლით 17,5მ. ძირითად ნაწილში იქნება სამი დონე - სარდაფი, პირველი სართული და მეორე სართული მანსარდაში.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ იაივეიდა, ჯგუფის ხელმძღვანელის მოდაგილე: ქსიაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია Consulting company Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს „ბანი“
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	მესტიის მუნიციპალიტეტი		

ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	მესტია, სეთის მოედანი #1 ტელ: +995 599 85 54 55 ელ- ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com სარეაბილიტაციო ობიექტი - მულახის სათემო ცენტრი მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. თბილისიდან დაშორებულია 460 კმ-ით.
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც სახელმწიფო საკუთრება. ფართობი - 6734 მ^2. მიწის ნაკვეთები, სადაც უნდა მოეწყოს კაპტაჟი და რეზერვუარი, დარეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. ფართობი თითოეულისათვის შეადგენს 200 მ^2.
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	მესტიის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მესტიის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია. მის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი ოროგრაფიული ერთეულებია: კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, სვანეთის ქედი, ეგრისის ქედი, კოდორის ქედის ნაწილი და მდინარე ენგურის ხეობა. ტერიტორია — 3045 კვ.კმ., მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 1010 კვ.კმ. რაიონში 200-მდე მყინვარია, რომელთა საერთო ფართობია 285 კვ.კმ. მთავარი მდინარეა ენგური, მისი შენაკადები — ადიშისჭალა, მულხრა, დოლრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურა და სხვა. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, მარმარილო, ტყვია-თუთია, მინერალური წყლები. მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო უპირატესად განვითარებულია მეცხოველეობა, რომელიც საკვები ბაზაა ბუნებრივი სათიბ-საძოვრები მნიშვნელოვანი. მცირე რაოდენობით ითესება მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. მესტიის მუნიციპალიტეტი ტურიზმისა და ალპინიზმის კერაა — აქ გადის მაღალმთიანი ტურისტული მარშრუტები ნაკრის, ბეჩოს, ლეხზირისა და ლატფარის უღელტეხილებზე. მულახის სათემო ცენტრი მდებარეობს მესტიიდან აღმოსავლეთით 11კმ მანძილზე. მულახის თემი შედგება 11 სოფლისაგან, რომელიც მდებარეობს მდინარე მულხურას დაბლობზე 1550 დან 1760 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. თემის მოსახლეობა შეადგენს 1002 კაცს. მულახი მდიდარია მინერალური წყაროებით და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელიც თარიღდება შუა საუკუნეებით. სვანური კოშკების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია ამ დასახლებებში არის თავმოყრილი. არის რამდენიმე საოჯახო სასტუმრო. ქვე პროექტის ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც

	არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი. იგი ესაზღვრება სახნავ-სათეს მიწებს. სპორტ-სკოლასთან მიდის გრუნტის გზა.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	ობიექტზე წყლის მიწოდება მოხდება ადგილობრივი წყლის რეზერვუარიდან, რომელიც მდებარეობს 200 მეტრში. წყაროს წყლის კაპტაჟი მოეწყობა, რათა სპორტსკოლისათვის მოხდეს სასმელი წყლის მიწოდება მილის მეშვეობით. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე არის 7 კმ.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; (v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი

	შეთანხმების საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მიწისქვეშა სუფთა წყლის მოპოვების ლიცენზია, მოპოვებული უნდა იქნას სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ რომელიც წარმოადგენს წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს. დაცული უნდა იქნას GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განხილული იქნა საჯარო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 6 მარტს მესტიაში.
დანართები	
დანართი 1: სამშენებლო ადგილის გეგმა, ფოტო მასალა და ახალი შენობის მონახაზი. დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	B. ახალი მშენებლობა	[x] დიახ [ ]არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები[2]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **E**
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **G**
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **H**

[1] მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

[2] ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქნის შემცირების მიზნით.
	ხმაური	(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (d) მექანიზმების გამორთვა, როდესაც ისინი არ არის პირდაპირ მოხმარებაში, გარდა იმ შემთვევებისა, როდესაც

		მექანიზმებმა არ უნდა იმუშაოს უწყვეტად; (e) შეზრუდული უნდა იყოს მაქსიმალური დასშვები სიჩქარე.
	წყლის ხარისხი	(a) მასალების დასაწყობების ადგილები და ნაყარი დაცული უნდა იყოს ჩარეცხვისაგან ინტენსიური წვიმების და დატბორვის პერიოდში, წყალგაუმტარი მასალით დაფარვის მეშვეობით. (b) გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორიცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. (c) სეპტიკური ჩამდინარე წყლები მოშორებული უნდა იქნას და ტრანსპორტირებული იქნას სპეციალური აღჭურვილობით და ჩაიცალოს მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემაში.
	ნარჩენების მართვა	(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები; (b) მინერალური და ნანგრევი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან ადგილზევე დახარისხებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სათანადო კონტეინერებში; (c) სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. (d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება; (e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).
	მასალების მიწოდება	a) გამოყენებული უნდა იქნეს არსებული ქარხნები, კარიერები და სამტეხლოები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია ან ნებართვა; b) მასალის ახალი კარიერის ან სამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაშიკონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია; c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან მასალის მოპოვება დასრულებულია; d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; e) განთავსდეს სიჩქარის მარეგულირებელი, შემოვლითი გზისა და გამაფრთხილებელი ნიშნები.
	მიწის სამუშაოები	ა) ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა სამუსაოების დაწყებამდე; ბ) ნიადაგის ზედა ფენის სათანადო დასაწყობება უნდა განხორციელდეს რათა შენარჩუნებული იქნას ნიადაგის ფიზიკო ქიმიური და ბიოლოგიური აქტივობა, უნდა მოეწყოს დამცავი შლამის ღობეები რათა თავიდან იქნას აცილებული ეროზია. გ) დასაწყობებული ნიადაგის ზედა ფენა გამოყენებული უნდა იქნას აღდგენითი სამუშაოებისა და

		გამწვანებისათვის. დ) ნიადაგი იმ ადგილებიდან რომელიც არ დაუბრუნდება საწყის მდებარეობასფრთხილად უნდა იქნას გაშლილი მიმდებარე ტერიტორიაზე. ე) ნიადაგის ზედა ფენა ნიადაგის ქვედა ფენისაგან განცალკევებით უნდა იქნას აღდგენილი და გატარდეს ზომები ამ მასალების ერთმანეთში აღრევის საწინააღმდეგოდ. ვ) შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების მყისიერად შეჩერება და შესაბამისი სამინისტროს შეტყობინება, და სამუშაოების განახლება ოფიციალური თანხმობის საფუძველზე.
C ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი სისტემა	წყლის ხარისხი	ა) სანიტარული ნარჩენების და ჩამდინარე წყლების განკარგვისადმი მიდგომა (სეპტიკური ავზის მონტაჟი) დამტკიცებული უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ბ) უნდა განხორციელდეს ახალი საკანალიზაციო სისტემების მონიტორინგი
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
			სამშენებლო ფაზა			
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლიას ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირეისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	• მოხსნილი ნიადაგის დროებით განთავსება შეთანხმებულ ტერიტორიაზე, მოხსნილი ნიადაგის უკუჩაყრა და/ან მისი გატანა წინაწარ განსაზღვრულ ადგილას; შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების მყისიერად შეჩერება და შესაბამისი სამინისტროს შეტყობინება, და სამუშაოების განახლება ოფიციალური თანხმობის საფუძველზე.	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, მუნიციპალიტეტი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხიელებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
ახლად ჩაწყობილი მილებისა და რეზერვუარის გაწმენდა	მადეზენფიცირებელი ხსნარის დეაქტივაცია ნარჩენი ქლორის დაშვებულ კონცენტრაციამდე, სასმელ წყალში გაშვებამდე.	მილსადენის ბოლოებში.	გაწმენდვითი სამუშაოების ინსპექტირება	მილსადენის გარცხვისას მისი მონტაჟის დასრულების დროს	ნიადაგისა და ზედაპირული წყლების კონცენრირებული ქლორით დაბინძურებისგან დაცვა	მგფ,მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული შენობიდან წარმოქმნილი მარჩენები	მყარი ნარჩენების სათანადოდ განკარგვა	მუნიციპალური ტერიტორია	ინსპექტირება	ცენტრის მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	მყარის ნარჩენებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მესტიის მუნიციპალიტეტი
რეაბილიოტირებული შენობიდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები	სეპტიკური ავზის სათანადო ოპერირება	რეაბილიტირებული შენობა	წყლის ობიექტი რეაბილიტირებული ცენტრის სიახლოვეს	ცენტრის მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მესტიის მუნიციპალიტეტი, გარემოსადცვის სამინისტროს ეკოლოგიური ინსპექცია.

დანართი 1: ადგილმდებარეობა და სურათები

ილიკო გაბიანის სახელობის სპორტ სკოლის მდებარეობა სოფელი მულახი.

მულახის სპორტ სკოლის წყალმომარაგების სისტემის სქემა

არსებული შენობა

რეზერვუარის მოსაწყობი ტერიტორია

წყაროს კაპტაჟის ტერიტორია

სპორტ სკოლის პროექტი

დანართი 1. გარემოზე ზემოქმედების გეგმის საჯარო განხილვის მასალები

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

მესტიის მუნიციპალიტეტში სოფ. მულახის ილიკო გაბლიანის სახ. სპორტსკოლის (სათემო ცენტრის) რეკონსტრუქციის ქვე-პროექტის

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვის ოქმი

6 მარტი, 2015

2015 წლის 6 მარტს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტში სოფ. მულახის ილიკო გაბლიანის სახ. სპორტსკოლის (სათემო ცენტრის) რეკონსტრუქციის ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: კაპიტონ ჟორჟოლიანი (გამგებელი), დავით ხერგიანი, მთვარისა ჯაჭვანი, ნატო რატიანი, თინათინ დარახველიძე, დემური გვიდანი, ჯემალ კვანჭიანი, გურამ ჩართოლანი (ზედამხედველობის სამსახური), ზაურ ჩართოლანი, ბორის გულბანი, სიმონ ნავერიანი, ელენე განაია, გელა ჯაფარიძე, თამარ გოშთელიანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები: მაიზერ ჯაფარიძე (საკრებულოს თავმჯდომარე), ზაზა დევდარიანი, ელვარდი დევდარიანი,

მულახის თემის წარმომადგენლები: ირმა ჯაფარიძე, ჯეირან ჯაჭვლიანი, გიორგი გუჯეჯიანი, ჯემალი კვანჭიანი, ჯორჯი გუჯეჯიანი, გიორგი ჯაჭვლიანი, რუზგენ გუჯეჯიანი, ჯემალ გულბანი, იოსებ მარგიანი, სოსო იოსელიანი, ვასო გუჯეჯიანი, ლაშა გუჯეჯიანი, გიორგი ლუხუტაშვილი, მუარი შერვაშიძე, ირაკლი ქურდიანი, ნელი გუჯეჯიანი, მარინე ტაკაშვილი და ნანი შუბითიძე („ასწავლე საქართველო“ პროგრამის მონაწილეები მულახის საჯარო სკოლაში), ზურებიანი ჯამლეტ, ზურებიანი სოსო, დევდარიანი გიორგი, კახა გუჯეჯიანი, რომან ჯაჭვლიანი

მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტები ანა რუხაძე და ნინო პატარაშვილი.

შეხვედრა გახსნა კაპიტონ ჟორჟოლიანმა, რომელმაც ისაუბრა მულახის სპორტსკოლის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ დღეისათვის ასამდე მოსწავლე ვარჯიშობს სპორტ-სკოლაში, სადაც არ არის შესაბამისი პირობები. სპორტსკოლის რეაბილიტაციის შედეგად შეიქმნება სათანადო გარემო წვრთნების, ასევე სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. კ. ჟორჟოლიანმა

ხაზი გაუსვა მსგავსი პროექტების განხორციელების მნიშვნელობას ტურიზმის განვითარებაში.

ა. რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის მხარდაჭერით მიმდინარე და დაგეგმილ ქვე-პროექტებზე. დეტალურად ისაუბრა მულახის თემში სპორტსკოლის რეაბილიტაციის ქვე-პროექტების ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებზე, გარემოზე მათ შესაძლო ზეგავლენაზე და შემარბილებელ ღონისძებებზე, ასევე სამუშაოების განმახორციელებლების გარემოსდაცვით ვალდებულებებზე. აღნიშნა, რომ კონტრაქტორი ვალდებულია შეასრულოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით დადგენილი მოთხოვნები, როგორიცაა ინერტული ნარჩენების განთავსება მხოლოდ ოფიციალურად გამოყოფილ ადგილზე, სამშენებლო ნარჩენები კი განთავსებული უნდა იქნეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ასევე ხმაურის შემცირების, ჰაერისა და წყლის დაბინძურებისაგან დაცვის მოთხოვნები. ა. რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, რომელთაც მოსახლეობა შეიძლება დაუკავშირდეს გარემოზე ზემოქმედების ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების არსებობის შემთხვევაში.

შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
რა მოცულობის რეზერვუარის მოწყობა არის დაგეგმილი წყალმომარაგებისათვის? შესაძლებელი იქნება თუ არა წყლის მიწოდება სოფლის მოსახლეობისათვის?	ქვე-პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია მხოლოდ სპორტული სკოლისათვის. დაგეგმილია 27 კუბ.მ რეზერვუარისა და საქლორატორის მოწყობა.
სოფელში არ არის საკანალიზაციო სისტემა. მოხდება თუ არა ჩამდინარე წყლების გაწმენდა?	ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სეპტიკის ტიპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელიც მოემსახურება სპორტსკოლას. გამწმენდი ნაგებობით უზრუნველყოფილი იქნება ჩამდინარე წყლების მექანიკური გაწმენდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ მულახში წყალმომარაგების სისტემის გაყვანა მოხდება მომავალ წელს, ხოლო შემდგომ დაიგეგმება საკანლიზაციო სისტემის მოწყობა.
სპორტსკოლის რეაბილიტაციის განმავლობაში შესაძლებელი იქნება თუ არა ვარჯიშის გაგრძელება?	მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური წერილის თანახმად, მეცადინეობა გაგრძელდება ლერი ნაკანის

	სახელობის სპორტსკოლაში, რომელიც მდებარეობს დაბა მესტიაში. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ უკვე შეძენილია მინი ავტობუსი, რომელიც ყოველდღიურად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებას მულახიდან მესტიაში.
როდის დაიწყება ქვე-პროექტის განხორციელება და რა ვადაში უნდა იქნეს დასრულებული სამუშაოები?	უკვე შერჩეულია კონტრაქტორი, რომელიც განახორციელებს სამუშაოებს. უახლოეს დღეში გაფორმდება კონტრაქტი და დაიწყება სამუშაოები. სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 1 წლის განმავლობაში. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მძიმე კლიმატური პირობების გამო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდი არის ძალიან მცირე. ზამთრის პერიოდში სამუშაოები უნდა შეჩერდეს, ვინაიდან ვერ შესრულდება ხარისხიანად. მიზანშეწონილი იქნება თუ კონტრაქტის ვადებში აღნიშნული გარემოება იქნება გათვალისწინებული.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სპორტსკოლის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია მულახის თემისათვის. სკოლის მომსახურებით ისარგებლებს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა, ასევე ტურისტები.

ოქმი შეადგინა ანა რუხაძემ, მგფ-ის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა.

6 მარტი, 2015

დანართი 1. მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი



რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტი

მესტიის მუნიციპალიტეტში სოფ. მულახის ილიკო გაბლიანის სახ. სპორტსკოლის (სათვლო ცენტრის) რეკონსტრუქცია

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

6 მარტი, 2015 წელი

მონაწილეთა დასწრების რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	591 [illegible] – [illegible] Dimitri.kerg@[illegible].com [illegible]@gmail.com	[illegible]
2.	[illegible]	[illegible]	595 08 95 31	[illegible]
3.	[illegible]	[illegible]	599-18 74-22	[illegible]
4.	[illegible]	[illegible]	555 455 886 bindo@mail.com	[illegible]
5.	[illegible]	[illegible]	599 561 581	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	595-51-33-57	[illegible]

7.	[illegible]	[illegible]	790-80-00-63	[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	595-71-75-59	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	595 97-41-33	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	595-97-41-33	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	595 07-90-57	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	551-36-97-29	[illegible]
13.	[illegible]	[illegible]	595 71-70-67	[illegible]
14.	[illegible]	[illegible]	591-25-88-76	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]		[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	599 30 22 77	[illegible]

17.	[illegible]	[illegible]	598209058	
18.	[illegible]	[illegible]	551 12-53-06	
19.	[illegible]	[illegible]	597-922-533	
20.	[illegible]	—	595.573103	
21.	[illegible]	[illegible]	599 27-38-78	
22.	[illegible]	—	598-29-47-94	
23.	[illegible]	[illegible]	585513330	
24.	[illegible]	[illegible]	577974734	
25.	[illegible]	[illegible]	577006824	

26. [illegible] 599-31-59-91 [illegible]

27. [illegible] 593.85-55-46 [illegible]

28 [illegible] 598.25-90-69 [illegible]

29 [illegible] 599-77-85-72 [illegible]

30. [illegible] 595.71-75-62 [illegible]

31 [illegible] 595-089545. [illegible]

32 [illegible] 599855540 mr.mai2er@mail.ru [illegible]

33 [illegible] 599 41-93-53

34 [illegible] 591 81 28 78 [illegible]

35 [illegible] 558 14 61 27 [illegible]

36. [illegible] 599-80-62-85 [illegible]

37) [illegible] 593 522 533 [illegible]

38) [illegible] 577920600 [illegible]

39) [illegible] 599855525 gangeobasazogadoeba@gmail.com. a.[illegible]

დანართი 2. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა